

# ბერტრან რასელი

## ქორწინება და მორალი

თარგმანი ინგლისური ენიდან, თანდართული შენიშვნები  
და განმარტებები ეკუთვნის გია ბერაძეს

გამომცემლობა „აქტი“

თბილისი – 2020

ტექსტის მთარგმნელი: **გია ბერაძე**  
ლექსების მთარგმნელი: **ზაალ ებანოიძე**  
კორექტორი: **ნინო შონია**  
გამომცემელი: **გიზო ცაცუა**

გამომცემლობა „აქტი“, 2020 წელი  
ვებ-გვერდი: **akti.ge**  
© გამომცემლობა „აქტი“

ISBN 978-9941-8-2755-6

## სარჩევი

მთარგმნელის შესახებ .....	4
მთარგმნელის წინასიტყვაობა .....	5

## ქორწინება და მორალი

შესავალი .....	7
თავი I – მატრიარქალური საზოგადოებები .....	15
თავი II – პატრიარქალური სისტემები .....	23
თავი III – ფალიკური კულტი. ასკეტიზმი და ცოდვის ცნება .....	29
თავი IV – ქრისტიანული ეთიკა .....	38
თავი V – რომანტიკული სიყვარული .....	52
თავი VI – ქალთა ემანსიპაცია .....	64
თავი VII – ტაბუ სქესთა შორის ურთიერთობის ცოდნაზე .....	74
თავი VIII – სიყვარული და მისი ადგილი ადამიანის ცხოვრებაში ...	91
თავი IX – ქორწინება .....	100
თავი X – პროსტიტუცია .....	111
თავი XI – სამართალი და ქორწინება .....	119
თავი XII – ოჯახი ჩვენს დროში .....	127
თავი XIII – ოჯახი და პიროვნების ფსიქოლოგია .....	142
თავი XIV – ოჯახი და სახელმწიფო .....	153
თავი XV – განქორწინება .....	164
თავი XVI – მოსახლეობა .....	176
თავი XVII – ევგენიკა .....	186
თავი XVIII – სექსი და ადამიანური ბედნიერება .....	201
თავი XIX – სექსის, როგორც ფასეულობის ადგილი	
სხვა ადამიანურ ფასეულობათა შორის .....	211
დასკვნა .....	223
შენიშვნები და განმარტებები .....	236
გამომცემლობა „აქტი“-ს მიერ გამოცემული წიგნები .....	247

**გია ბერაძე (1959)** – ინგლისური ენის სპეციალისტი, ფილოლოგი. ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი. გია ბერაძეს ქართულად თარგმნილი აქვს ლევ შესტოვის, ნიკოლაი ბერდიაევის, სემუელ ბეკეტის, ჯეიმზ ჯოისის, ვირჯინია ვულფის, ო. ჰენ-რის, ჰერბერტ უელსის, ჯეინ ოსტინის, ჯონ მაქსველ კუტ-ზეეს, ოლდოს ჰაქსლის, სალმან რუშდის, ბერტრან რასელის ნაშრომები და სხვა.

## მთარგმნელის წინასიტყვაობა

ბრიტანელი ფილოსოფოსი, მათემატიკოსი და საზოგადო მოღვაწე ბერტრან რასელი 1872 წელს დაიბადა ტრელეკეში, უელსში. მისი ოჯახი არისტოკრატების უძველეს მოდგმას ეკუთვნოდა. ბაბუა – ჯონ რასელი – ინგლისის პრემიერ მინისტრი იყო. ის კემბრიჯის უნივერსიტეტის ტრინიტი-კოლეჯში 1890 წელს შევიდა, შემდეგ იყო ლონდონის სამეფო საზოგადოების წევრი, არჩეულ იქნა კემბრიჯის უნივერსიტეტის ტრინიტი-კოლეჯის საბჭოს წევრად. ფილოსოფიაში ლექციებს მრავალ ინსტიტუტსა და კოლეჯში კითხულობდა. 1931 წელს ლორდის ტიტული მიიღო მემკვიდრეობით. იყო პარლამენტის წევრი, 1944 წლიდან მოყოლებული აქტიურ მონაწილეობას იღებდა ლორდთა პალატის მუშაობაში. ბერნარდ შოუსთან და ჰერბერტ უელსთან ერთად ის გახლდათ ერთ-ერთი პირველი წევრი ფაბიანელთა საზოგადოებისა, რომელსაც მიზნად ჰქონდა დემოკრატიული სოციალიზმის პრინციპების განვითარება თანმიმდევრული, რეფორმისტული და არარევოლუციური გზებით. ასევე, ის არის რასელ-აინშტაინის მანიფესტის თანაავტორი, 1963 წელს კი „მშვიდობის ფონდი“ შექმნა ჟან-პოლ სარტრთან ერთად და დააარსა საერთაშორისო ტრიბუნალი ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ვიეტნამში ჩადენილ დანაშაულობათა გამოსაძიებლად.

წიგნი – „ქორწინება და მორალი“ 1929 წელს გამოვიდა. მიჩნეულია, რომ ავტორმა სწორედ ამ თხზულებისთვის მიიღო ნობელის პრემია ლიტერატურის დარგში 1950 წელს. შევცი-

ის აკადემიის წარმომადგენელმა, ანდერს ესტერლინგმა, რასელი დაახასიათა, როგორც „რაციონალიზმისა და ჰუმანიზმის ერთ-ერთი ბრწყინვალე წარმომადგენელი, სიტყვისა და აზრის თავისუფლებისათვის მებრძოლი დასავლეთში“, ხოლო 1967 წელს გამოცემულ კრებულში – „ბერტრან რასელი“ აღნიშნული იყო, რომ რასელის მიერ შეტანილი წვლილი მათემატიკურ ლოგიკაში არის ყველაზე მნიშვნელოვანი და ფუნდამენტალური არისტოტელეს დროიდან მოყოლებული.

„ქორწინება და მორალი“ დიდ ინტერესს იწვევს მკითხველებს შორის. მასში აღძრული პრობლემები ყველა ადამიანს ეხება. წიგნში ლაპარაკია სქესობრივ ურთიერთობებზე, თავისუფალ სიყვარულზე, მეუღლეების უფლებებზე, ქორწინებაზე, განქორწინებაზე, შვილების აღზრდაზე, პროსტიტუციასა თუ ევგენიკაზე. ავტორი იზიარებს ფროიდისტების იმ თვალსაზრისს, რომ სექსი არის მთავარი ფაქტორი, რომელიც განსაზღვრავს ფსიქოლოგიასა და ინტელექტსაც კი.

თხზულებაში, რომელშიც გადმოცემულია ქორწინებისა და ოჯახის ინსტიტუტის წარმოშობის მოკლე ისტორია, რასელი მკვეთრად აკრიტიკებს თავისი დროის ტრადიციებსა და მორალს და ის ერთ-ერთი მათგანია, რომელმაც ერთგვარად, „სექსუალურ რევოლუციას“ ჩაუყარა საფუძველი. ფილოსოფოსი თამამად ლაპარაკობს ახალ მორალზე, რომელიც საზოგადოებაში ისეთ დრამატულ ცვლილებებს მოაქვს, როგორცაა ქალთა ემანსიპაცია და ჩასახვის სანინაალმდეგო საშუალებების ფართოდ გავრცელება. რასელი იკვლევს ქორწინების შეცვლილ როლს და ახალ სექსუალურ ეთიკას.

## შესავალი

ეკონომიკური სისტემა და ოჯახური ურთიერთობები – აი, ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული ორი უმთავრესი ელემენტი, რომელიც ახასიათებს როგორც ძველ, ისე თანამედროვე საზოგადოებას. დღეისთვის, ორი თეორიული მიმდინარეობა არსებობს, რომელთაგან ერთი საზოგადოების საფუძვლად ეკონომიკურ ურთიერთობებს მიიჩნევს, მეორე კი – ოჯახს, ანუ სქესობრივ ურთიერთობებს. პირველი მიმართულება მარქსიდან იღებს სათავეს, მეორე – ფროიდიდან. პირადად მე, არც ერთ მიმართულებას ვემხრობი და არც მეორეს. მიმაჩნია, რომ ძალიან ძნელია დაამტკიცო რომელიმე ელემენტის უპირატესობა მიზეზ-შედეგობრივი პრინციპიდან გამომდინარე. მაგალითად, ეჭვის შეტანა შეუძლებელია იმაში, რომ ინდუსტრიულმა რევოლუციამ ძლიერი ზეგავლენა მოახდინა და ახდენს მორალურ ნორმებზე, სქესთა შორის დამოკიდებულებაზე და პირიქითაც, პურიტანული ზნეობა, თუნდაც ფსიქოლოგიურად, აუცილებელი მიზეზი გახლდათ ინდუსტრიული რევოლუციისა. მე არ ვარ მზად ეკონომიკური, ან მორალური ნორმების მხარეს დავდგე, რადგან ვერ ვხედავ, რომ ისინი მკაფიოდ არიან გამიჯნული ერთმანეთისაგან.

ეკონომიკა არსებითად საკვები პროდუქტების წარმოებითაა დაკავებული, მაგრამ საკვები არა მხოლოდ ინდივიდის სიცოცხლის შენარჩუნებისთვისაა საჭირო, არამედ განსაკუთრებით აუცილებელია ოჯახისათვის და როცა ოჯახური ურთიერთობები იცვლება, მათთან ერთად იცლება ეკონომიკური სისტემები. ცხადი უნდა იყოს, რომ არა მხოლოდ სიცოცხლის

დაზღვევა, არამედ ნებისმიერი ფორმა კერძო დანაზოგებისა, შეწყვეტდა არსებობას მშობლებს ბავშვები რომ წაართვან და მათი აღზრდა სახელმწიფომ აიღოს თავის თავზე, როგორც ამას პლატონი<sup>1</sup> გვთავაზობდა. ამდენად, თუ სახელმწიფო თავის თავზე მამის როლს აიღებდა, ის *ipso facto*<sup>2</sup> იქცეოდა ერთადერთ კაპიტალისტად. უკიდურესი შეხედულებების კომუნისტები სანინააღმდეგოს ამტკიცებენ: თუ სახელმწიფო ერთადერთ კაპიტალისტად იქცევა, მაშინ ოჯახი დღევანდელი სახით, აღარ იარსებებს. მაშინაც კი, თუ ეს ასე მოხდება, შეუძლებელია იმის უარყოფა, რომ კერძო საკუთრებასა და ოჯახს შორის მჭიდრო კავშირია. ეს არის ორმხრივი კავშირი, ისეთი, რომ შეუძლებელია თქმა რომელი მათგანია მიზეზი და რომელი შედეგი.

მორალური ნორმები სქესთა შორის ურთიერთობაში, როგორც შემდგომში იქნება ნაჩვენები, შეიძლება რამდენიმე სიბრტყეში იქნას განხილული. ჯერ ერთი, არსებობს დამკვიდრებული ჩვევა, სამართალში დაფიქსირებული, როგორიცაა, მაგალითად, ზოგ ქვეყანაში მონოგამიური და ზოგში პოლიგამიური ოჯახი. მომდევნო სიბრტყე ის იქნება, სადაც ბატონობს საზოგადოებრივი აზრი და კანონი მოვლენათა განვითარებაში არ ერევა. დაბოლოს, არსებობს ისეთი სიბრტყე, სადაც ყველაფერი პირად შეხედულებაზეა დამოკიდებული, თუ თეორიაში არა, პრაქტიკაში მაინც.

მსოფლიოს ისტორიას არ ახსოვს ისეთი ქვეყანა და ეპოქა, (შესაძლოა, საბჭოთა რუსეთის გარდა) სადაც სქესთა შორის მორალური ურთიერთობები გონის თვალსაზრისით, ანუ რაციონალურად განისაზღვრებოდა. მე, ამით იმის თქმა არ მინდა, რომ საბჭოთა რუსეთში სქესთა შორის ჩამოყალიბებული ურთიერთობები ამ მხრივ სრულყოფილია. მე მხოლოდ იმას ვგულისხმობდი, რომ ისინი არ არიან შედეგი ცრურწმენებისა და ტრადიციებისა, როგორც ეს, ნაწილობრივ მაინც, ხდება სხვა ეპოქებში სხვადასხვა ქვეყნების წეს-ჩვეულებებში.

იმის განსაზღვრა, თუ სქესთა შორის ურთიერთობის მორალური ნორმების რომელი სისტემა იქნებოდა საყოველთაო ბედნიერებისა და კეთილდღეობის თვალსაზრისით, რთული



პრობლემაა და მისი გადაწყვეტა მრავალი გარემოების ცვლილებას უკავშირდება. მაღალგანვითარებული ეკონომიკის სისტემაში ის განსხვავებული იქნება იმისგან, რაც პრიმიტიული სასოფლო-სამეურნეო ეკონომიკის საზოგადოებრივ სისტემაშია. ეს სისტემა იქ, სადაც სამედიცინო მეცნიერებებმა და ჰიგიენამ სიკვდილიანობის დონის შემცირებას მიაღწიეს, სხვა იქნება, ვიდრე იმ ქვეყნებში, სადაც ავადმყოფობა და ეპიდემიები მოსახლეობის დიდ ნაწილს ანადგურებს, განსაკუთრებით ბავშვებს. შესაძლოა, მაშინ, როცა უფრო მეტად ვიქნებით გათვითცნობიერებული, შევძლოთ ამ ნორმების ფორმულირება კლიმატთან, ან იმ საჭმელ-სასმელთან დამოკიდებულებით, რომელსაც ჩვენ მოვიხმართ.

სქესთა შორის დამოკიდებულების მორალური ნორმების ამა თუ იმ სისტემის შედეგები შეიძლება ძალიან მრავალფეროვანი აღმოჩნდეს: ეს შეიძლება იყოს პიროვნების ქცევა, ურთიერთობები ოჯახში და მეუღლეებს შორის, ერის ცხოვრება და საერთაშორისო ურთიერთობებიც კი. შეიძლება ისეც მოხდეს, რომ ეს შედეგები გარკვეული თვალსაზრისით კარგი იყოს, სხვა მხრივ კი ცუდი. სანამ გადავწყვეტდეთ სქესთა შორის ურთიერთობის რომელი სისტემა იქნება მიღებული, უნდა განვიხილოთ და ავნონ-დავნონოთ მოცემული სისტემის მორალური ნორმების ყოველმხრივი შედეგები. დავინყოთ, თუნდაც პიროვნების ქცევადან.

საზოგადოებაში მიღებული მორალური ნორმების შედეგები გაანალიზებულ იქნა ფსიქოანალიზის მიერ. ჩვენ ყურადღება უნდა მივაქციოთ ქცევას არა მხოლოდ სრულწლოვანი ადამიანისა, რომელიც საყოველთაოდ მიღებული მორალური ნორმების გავლენის ქვეშაა, არამედ ბავშვების აღზრდის საკითხებს, რამდენადაც ბავშვები იწყებენ დამორჩილებას ქცევის საყოველთაოდ მიღებული ნორმებისადმი და რამდენადაც, როგორც ახლა ყველამ იცის, პირველი ტაბუს შედეგები შეიძლება უცნაური და არაპირდაპირი იყოს. ჩვენ მხოლოდ ცალკეულ მხარეებს შევხებით იმისა, რაც შეიძლება ადამიანის ბედნიერ არსებობასთან იყოს დაკავშირებული.

შემდეგი საკითხი, რომელიც მოცემულ პრობლემასთან დაკავშირებით იჩენს თავს, ეს არის დამოკიდებულება კაცსა და ქალს შორის. რა თქმა უნდა, თუ ამ ურთიერთობაში, თუ მას სხვადასხვა კუთხით შევხედავთ, რალაც მეტად მნიშვნელოვანია და რალაც – ნაკლებად. ალბათ, ბევრი დამეთანხმება, რომ აქ, გაცილებით უფრო დიდი მნიშვნელობა ფსიქოლოგიურ მომენტს აქვს, ვიდრე წმინდად ფიზიკურს. მართლაც, განათლებული და კარგად აღზრდილი კაცების და ქალების გონებაში დამკვიდრდა აზრი (ამან პირველად ლირიკულ პოეზიაში იჩინა თავი), რომ სიყვარული მით უფრო ძლიერია და ღირებული, რაც უფრო მაღალია პიროვნების განვითარების დონე. გარდა ამისა, პოეტები ქადაგებდნენ, რომ სიყვარული მით უფრო ფასეულია, რაც უფრო ინტენსიურია. თუმცა, ეს ცოტა არ იყოს სადაო საკითხია. ალბათ, ბევრი დამეთანხმება, რომ სიყვარულში შენარჩუნებული უნდა იქნას თანასწორობა და სწორედ ამიტომ, პოლიგამიური ოჯახი არ შეიძლება იდეალურად ჩაითვალოს. კაცის და ქალის ურთიერთობის საკითხის განხილვისას აუცილებელია გარდა საქორწინო ურთიერთობებისა ქორწინების გარეშე ურთიერთობებიც იქნას მხედველობაში მიღებული, რადგან ეს უკანასკნელი იმის მიხედვით შეიცვლება, თუ რამდენად უპირატესად ითვლება საქორწინო ურთიერთობები.

ახლა, ოჯახის საკითხზე გადავიდეთ. სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ადგილებში ერთმანეთისგან განსხვავებული ოჯახების ტიპები არსებობდა, მაგრამ განსაკუთრებით პატრიარქალური ოჯახი გავრცელდა და პოლიგამიურზე აღმატებული გახდა. დასავლეთის ცივილიზაციაში, ჯერ კიდევ ქრისტიანობის მიღებამდე, სქესთა შორის ურთიერთობის მორალური ნორმების გაჩენის მთავარი მოტივი იყო ქალის უმნიშვნელობის ისეთი დონის უზრუნველყოფა, რომლის გარეშეც პატრიარქალური ოჯახი ვერ იარსებებდა, რადგან შეუძლებელი ხდებოდა იმის გარკვევა, თუ ვინ იყო ბავშვის მამა. ქრისტიანობამ ამას მამაკაცის უმნიშვნელობის რამდენიმე მოთხოვნა დაუმატა, რომლის ფსიქოლოგიური ნყარო ქრისტიანული ასკეტიზმი იყო,

## გამომცემლობა „აქტი“-ს მიერ გამოცემული წიგნები

1. ფრიდრიხ ნიცშე – ანტიქრისტიე
2. ფრიდრიხ ნიცშე – ტრაგედიის დაბადება მუსიკის სულიდან
3. ფრიდრიხ ნიცშე – სიკეთისა და ბოროტების მიღმა
4. კარლ იასპერსი – ნიცშე და ქრისტიანობა
5. კარლ იასპერსი – ფილოსოფიის შესავალი
6. სიორენ კირკეგორი – შიში და თრთოლვა
7. სიორენ კირკეგორი – სატანჯველის სახარება
8. ზიგმუნდ ფროიდი – სამი ნარკვევი სექსუალობის თეორიიდან
9. ზიგმუნდ ფროიდი – მასების ფსიქოლოგია და ეგოს ანალიზი
10. ლევ შესტოვი – უსაფუძვლობის აპოთეოზი
11. ლევ შესტოვი – შემოქმედი და დამანგრეველი სამყარო
12. ბერტრან რასელი – ესეები
13. ბერტრან რასელი – ქორწინება და მორალი
14. ედმუნდ ჰუსერლი – ამსტერდამული მოხსენებები
15. მიგელ დე უნამუნო – ქრისტიანობის აგონია
16. ნიკოლაი ბერდიაევი – ყოფიერება, თავისუფლება, ღმერთი
17. იმანუელ კანტი – მარადიული მშვიდობისკენ
18. გიორგი გურჯიევი – დანახული რეალური სამყაროდან
19. ერის ფრომი – ადამიანის სული
20. სვამი ვიგეკანანდა – ძველი ინდური ფილოსოფია